

სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი 041059

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის საქმიანობა საზოგადოებისათვის ეკოლოგიურად სუფთა, სასარგებლო სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი სისტემაა. იგი ორიენტირებულია საბაზრო მოთხოვნებზე და მოიცავს:

- სასურსათო პროდუქტების წარმოების მოთხოვნების შესაბამისად ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას;
- ძირითადი და დამხმარე ნედლეულისა და მზა პროდუქციის შემოწმება-შეფასებას არსებული სტანდარტული ნორმების შესაბამისად.

II. დასაქმების სფერო

სასურსათო პროდუქტების წარმოების მცირე და დიდი საწარმოები, სასერტიფიკაციო და კვლევითი ლაბორატორიები, მონიტორინგის უწყებები და ორგანიზაციები.

III. დამატებითი მოთხოვნები

პრაქტიკის ინსტრუქტორს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის განათლება სამ საფეხურიანია (III, IV და V) და თითოეულ საფეხურისათვის დამუშავებულია შესაბამისი პროფესიული განათლების პროგრამა. ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაცემა პროფესიული დიპლომი.

სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომლის 40% ეთმობა სასწავლო თეორიულ კურსს, ხოლო 60% სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომლის 60% ეთმობა სასწავლო თეორიულ კურსს, ხოლო 40% სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომლის 60% ეთმობა სასწავლო თეორიულ კურსს, ხოლო 40% სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

V. სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;	იცის კვალიფიკაციის ფარგლებში მოწყობილობების, აპარატურის, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების მუშა მდგომარეობაში მოყვანის წესები; აქვს ამ სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.	შეუძლია გამოიყენოს კვების პროდუქტების წარმოების სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, როგორცაა კვების პროდუქტების წარმოების დანადგარებთან ოპერირება, რეჟიმების დაცვა, სხვადასხვა მიდგომები დავალებების შესასრულებლად და შეარჩიოს მათ შორის ოპტიმალური.

დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	ზეპირი, წერილობითი თუ ვიზუალური ფორმით შეუძლია კომუნიკაცია – თავისი პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის საფუძველზე დასკვნის გამოტანა, როგორცაა დანადგარების სიზუსტე, გაუმართაობა, სისუფთავე და სხვა, ასევე დაგეგმოს მისი აღმოფხვრის მეთოდები.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია ეფექტურად გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებები, შეუძლია უცხოური ენის ცოდნის პრაქტიკული გამოყენება, ინტერნეტის გამოყენებით ახალი ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების მოძიება და გაზიარება თანამშრომლებისთვის.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია მიღებული ცოდნის გაღრმავება საკომუნიკაციო საშუალებებისა და ტექნიკური საინფორმაციო გამოცემების საშუალებით, სხვისი დახმარებით მათი ანალიზი.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	ყოველგვარ სიტუაციაში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. აცნობიერებს აღნიშნულ სფეროში შრომის უსაფრთხოების, ჰიგიენის დაცვის მოთხოვნებსა და ნორმებს.

IV საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და აცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	შეუძლია ტექნოლოგიური პროცესის მართვა სასურსათო პროდუქტების წარმოების ცალკეულ უბანზე, კონტროლი მზა პროდუქციის ხარისხზე და გამოსავალზე. აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპების, კონცეფციებისა და პროცესების ცოდნა; აცნობიერებს პრობლემური ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.
----------------------	---	---

<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია მიღებული ცოდნა გამოიყენოს პროფესიულ პრაქტიკულ საქმიანობაში. გათვალისწინასწარი მოგება და განსაზღვროს მისი გაზრდის გზები. მონახოს ნედლეულის რაციონალურად გამოყენების და უნარჩენო ტექნოლოგიების დამკვიდრების ტექნოლოგიური ხერხები და გზები.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>პრაქტიკული და თეორიული ცოდნის საფუძველზე აქვს უნარი გამოიტანოს დასკვნა ამა თუ იმ პროფესიულ საკითხზე, ახალი ნედლეულის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და გამოყენების ალტერნატიულ შესაძლებლობებზე.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>მიღებული ცოდნით, პროფესიულ სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, შეუძლია უცხოურ და ადგილობრივ ტექნიკურ ინფორაციულ გამოცემებში მიღებული მასალები მიაწოდოს ხელმძღვანელობას და იმსჯელოს მისი გამოყენების ეფექტურობაზე. შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია მიღებული ცოდნის გაღრმავება და მომსახურებისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით. მათი ანალიზი, კრიტიკული გააზრება, გაზიარება.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>პატივისცემითა და პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და აფასებს მათ ნებისმიერ სიტუაციაში. იცნობს ეთიკის ნორმებს. აქვს საქმიანი ურთიერთობების წარმართვის კულტურა. იცავს უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ნორმებს.</p>

V საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>შეუძლია სასურსათო პროდუქციის წარმოების მთელ ხაზის ტექნოლოგიური ზედამხედველობა და კონტროლი. აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საკმარისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, შეუძლია რეცეპტურის გაანგარიშება ნებისმიერი წარმადობისათვის კონკრეტულ პროდუქციაზე, გამოსავლიანობის გამოთვლა და შესაბამისი ეკონომიკური გათვლები მოგების წინასწარი დაფიქსირებით.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს შემეცნებითი და პრაქტიკული უნარი და ფართო სპექტრით გამოიყენოს იგი აბსტრაქტული პრობლემების გადასაწყვეტად. შეუძლია კონტროლი ძირითად და დამხმარე ნედლეულის, მზა პროდუქტის ვარგისიანობაზე, ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებლების გათვლა – გაანგარიშება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია კარგად გაჭვრიტოს მოსალოდნელი პრობლემები ნედლეულის ხარისხთან, ენერგომატარებლების რაციონალურად გამოყენებასთან დაკავშირებით. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მიზნით მოახდინოს მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიკაცია და ანალიზი, გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები.</p>

კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე როფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები და კომუნიკაციები, შეაგროვოს საინტერესო და სასარგებლო ინფორმაცია სფეროს ინტერესებიდან გამომდინარე და მოახდინოს მათი გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, გაეცნოს მსოფლიოს სარეკლამო გამოცემებს, შექმნას საინციატივო ჯგუფები ინოვაციების წარმოებაში დასაანერგად.</p>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია მიღებული ცოდნის გაღრმავება თანამედროვე გამოცემებითა და ტექნოლოგიებით. პროფესიული ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი, გაზიარება და პროფესიულ საქმიანობაში მიზნობრივი გამოყენება.</p>
ღირებულებები	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.</p>	<p>გამოხატავს თავის დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს. იცნობს ეთიკის ნორმებს. აქვს საქმიანი ურთიერთობების კულტურა. იცავს უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ნორმებს.</p>